


საგზაო

ეროვნული
ნიმუში

საერთო ბაზაში კარასკეპი 19 ნოემბერი 2004 №270 (2291)

ფასი 50 თეთრი



ამთავარებელი რადენი ფეხბურთის ზოგადი საქართველო!

... დანიასთან 2:2 ჯატასტროფა ნაღდად არაა, უბრალოდ, ცოტაც გვინდოდა და მოვიგებდით. ის გაცუდებული მომენტები ახლაც ვერ მომინელებია...


... ჟირესის ხელში შედარებით უკეთეს ვთამაშობთ და ხალხს, პირველ რიგში, ცხადია, ეს მოსწონს...

... ჩემთვის სეზონი გუშინ დამთავრდა. „ლოკომოტივმა“ შვებულება ჯი მომცა, მაგრამ ამაზე საერთოდ არ მიფიქრია, ჯერ ხომ საქართველოს ნაკრებში მქონდა სათამაშო. ვერავინ იტყვის, ასათიანი ნაკრებს ზერულედ უყურებსო. ჩემთვის კლებიც ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოს ნაკრები მით უმეტეს...

ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან იხილეთ მეორე გვერდზე

გადრი კატილაპის ფოტო

ზაპი გაიგუნოვა ბერნაბეუზე დიდი სისულელე, დიდი ბრიტანეთი, დიდი სკანდალი



ენით დაყოფილი შონ რაიტ-ფილიპსი

REUTERS გადრიდიდან


სტადიონზე ჩვენი პრობლემა უფრო ის არის, ვინმემ ქვა და ბოთლი არ ესროლოს ფეხბურთელს. იქ, ევროპაში კი ნასროლ სიტყვას უფრო ებრძვიან: ვინმეს ღმერთი არ გაუნყრეს და ფერადკანიანი ფეხბურთელისთვის შავი მაიმუნის დაძახება არ მოუნდეს.

ოთხშაბათს ესპანეთ-ინგლისის მადრიდული ამხანაგური მატჩი სულაც არ გამოდგა ამხანაგური, რაკი გულშემატკივრებს ეშლი კოულისთვის და შონ რაიტ-ფილიპსისთვის მათი ბურთთან ყოველი შეხებისას სწორედ რომ შავი მაიმუნი უძახებიან.

არადა, თამაშის წინ „ბერნაბეუს“ ტელეტაბლოზე ანტირასისტული ფილმი გაუშვიან და ფეხბურთელებიც ანტირასისტული ბანერის წინ ჩამწკრივებულან. ჩანს, შეხსენებამ ზოგ ქომაგზე უკუღმართად იმოქმედა.

ახლა ინგლისურ მედიაში ერთი ამბავია ატეხილი, ეგ ყველაფერი ესპანელთა მწვრთნელისგან, ლუის არაგონესისგან მოდის, ვინაც განთქმული რასისტიაო.

რასაკვირველია, ამ ამბავს ყურს მიღმა ვერ გაუშვებს ფიფა, რომლის მეთაურმა ზეპ ბლატერმა თქვა, მსოფლიოში ფეხმოკიდებულ სენს ფეხბურთში არ გავაჭაჭანებთო. ცხადია, ფიფა ესპანელთა წინააღმდეგ სხვა ზომებსაც მიმართავს.



გადრი კატილაპის ფოტო

იონ დალ გოგასონი: მოულოდნელად კარგი თამაში ქალიან ცუდი მსაჯობით

ინტერვიუ
მესამე გვერდზე

გამთამაშებელი ფეხბურთის ზაოდინი

მალხაზ ასათიანი — ქართული ფეხბურთის ვარსკვლავები, 23 წლის შემტევი ნახევარმცველი, კაცი, რომელმაც გუშინ მრავალთაგან ნაქებ დანიის ნაკრებს ჯიბეში დაგულე-ბული გამარჯვება წაართვა.

შემტევი ნახევარმცველი, გამბობთ, მაგრამ... მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველი ლეგიონერი ახლახან პრემიერლიგის საუკეთესო მცველად დაასახელეს. პარადოქსი? არა, საქმე უფრო სხვანაირადაა — ეს ერთხელაც და

უეჭველად მიუთითებს ასათიანის ნიჭზე.

მალხაზი უკვე აღარაა მხოლოდ ნიჭიერი, ის ჩამოყალიბებული ფეხბურთელია, თუმც თავდაცვითი იცის, რომ ჯერაც ბევრი აქვს სასწავლო თუ დასახვენი. ქუთაისის ერთ-ერთ ყველაზე საფეხბურთო უბანში, ზაოდინი დაბადებულ-გაზრდილი „ასათა“ დღეს ქართული ფეხბურთის იმედია. მალხაზს გუშინ გავსაუბრეთ, როცა მონატრებულ ზაოდინ მძაბიჭებთან ერთად მხიარულობდა...



პადრი კითხვების ფოტო

— როგორ სიტყვით, რა შთაბეჭდილება დაგრა გუშინდელ მატჩზე?
— ვფიქრობ, ძალიან საინტერესო და კარგი თამაში იყო, დაძაბულობა ყოველ წუთს იგრძნობოდა. მომენტებს თუ დაეითვლით, უპირატესობა ჩვენი იყო და გული მწყდება, რომ ვერ მოვიგეთ. არადა, შეგვეძლო...
— ფრე ცუდი შედეგია?
— ეს არ მითქვამს, მაგრამ... მო-

გებაც რეალური იყო. დანიასთან 2:2 კატასტროფა ნაღდად არაა, უბრალოდ, ცოტაც გვიწვინდა და მოვიგებდით. ის გაცულებული მომენტები ახლაც ვერ მომიწვინდება.
— ჯგუფიდან გასვლის იმედი თუ გაქვს?
— რატომ არ უნდა მქონდეს?! მთავარი ბრძოლები ჯერ წინაა და მზად ვართ, ბოლომდე მივაწვეთ.
— რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც ნაკრებს აღენ ურესი წვრთნის?

— რა ვიცი... როგორ ვითხრა, ეს თქვენ, ურუნალისტებმა და ქომაგებმა უფრო უნდა თქვათ.
— მაინც?
— მიჭირს პასუხის გაცემა. შენი აზრით, რა შეიცვალა?
— ყველაზე თვალშისაცემი ისაა, რომ აღინიშნება შედარებით გუნდი გაცილებით შეკრულ-დალაგებული ჩანს...
— ჰოდა, ალბათ ეგრეც არის. ისე, მე ვფიქრობ, ადრეც შეკრუ-

ლი გუნდი გვეყავა, მაგრამ რატომღაც ეს არ იგრძნობოდა. ახლა, ფირის ხელში შედარებით უკეთეს ვინაობაში და ხალხს, პირველ რიგში, ცხადია, ეს მოსწონს.
— როგორც იქნა, ნაკრებში გამთამაშებლად ითამაშე. რა დაგავალა ფირესმა მატჩის წინ?
— მოულოდნელი არაფერი უთქვამს. მთხოვა, ძალიან წინ არ ჩავრჩინილიყავი და დაცვითი ფუნქციებიც შემეთავსებინა. მოკლედ, ბურთის მოსაპოვებლად უნდა მემუშავა.
— სადანიოდ ნაკრებს გონა ჯამარული გამოაკლდა. გამთამაშებლად თუ დაგავინებდნენ, ელოდი?
— სიურპრიზი არ ყოფილა. თავიდანვე იყო ასეთი ლაპარაკი. შეკრებაზე რომ ჩამოვედი, ამაზე მაშინვე ითქვა.
— ბოლომდე სულ მცველად თამაშობ და ამპლუის უცვლად არ გაგვიტოვებ?
— არა. მგონი, გამთამაშებლობა არ დამეწვინა. ეს ხომ ჩემი საფარული საქმეა.
— დანიამ მეორე გოლი რომ გაგვიტანა, თამაშის გადარჩენის იმედი გქონდა?
— თამაში 90 წუთი გრძელდება და ყურების ჩამოყრა სისულელე იქნებოდა. ბოლომდე ბრძოლა თუ არ შეგვიძლია, ფეხბურთში არაფერი გეკავება.
— შენს გოლზე ვთქვათ. როცა ბურთი მოიპოვე და მეტოქის საჯარიმის მიუახლოვდი, კარში დასარტყმელად დროც გქონდა და საშუალებაც, მაგრამ მცველის მოტყუება გადაწყვიტე და მერე ცაიცათი გაიტანე. რატომ?
— რა ვიცი... ჩვეულებრივ, რომ ასე სჯობდა. მარჯვენა ფეხით დარტყმა კი მინდოდა, მაგრამ ცარიელი სივრცე იმდენად არ ჩანდა. ბურთი

მარცხენა ფეხზე გადმოვტანე და... მგონი, არ შევმცდარვარ.
— საკუთარი ითამაშეთ კმაყოფილი ხარ?
— კმაყოფილი მანძი ვიქნებოდი, რომ მოგვევრა.
— მხოლოდ ოთხი ტური კი ჩათავდა, მაგრამ, შენი აზრით, ვინაა ჯგუფის ფავორიტი?
— რაც ვნახე, დღეს ყველაზე კარგი ნაკრები უკრაინას ჰყავს.
— და ამ ოთხ მატჩში საქართველოს ნაკრების მიერ დაგროვებული ქულებით თუ ხარ კმაყოფილი?
— უკეთეს შედეგად. მგონი, მეტს ვიმსახურებდით, მაგრამ...
— რუსეთში სეზონი ერთი კვირის წინ დამთავრდა და დანიასთან მატჩისთვის სასურველ ტონუსში იყავი?
— ჩემთვის სეზონი გუშინ დამთავრდა. „ლოკომოტივმა“ შევბუღება კი მომცა, მაგრამ ამაზე საერთოდ არ მიფიქრია, ვერ ხომ საქართველოს ნაკრებში მქონდა სათამაშო. ვერაინ იტყვის, ასათიანი ნაკრებს ზერელედ უყურებსო. ჩემთვის კლუბიც ძალიან მნიშვნელოვანია და, მით უმეტეს, საქართველოს ნაკრები.
— „ლოკომოტივი“ ჩემპიონი გახდა, დაჯილდოების ცერემონიალი კი 20 დეკემბერს კრემლში გაიმართება...
— შესაძლოა, ამ ცერემონიალს ვერ დავეწვრო. მაგ დროს შევბუღება მაქვს და ალბათ ჩემს ოჯახთან ერთად ვიქნები. აქაურობა ძალიან მენატრება.
— რუსეთის საუკეთესო მცველობას როგორ შეეგუე?
— მეუცხოვება. ეს აღიარება ძალიან გასაკვირი და მოულოდნელი იყო ჩემთვის. ისე, უცნაური სიურპრიზი კი გამოვიდა...
ასა ზალაზაბრიძე

ფეხბურთი არ არის თამაში, რომლის მონაწილენიც მხოლოდ 22 ფეხბურთელი, სამი მსაჯი, ორი მწვრთნელი და ერთი ბურთი არიან. ფეხბურთს ბევრი სხვა მონაწილეც ჰყავს და ზოგ მათგანზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. იმათზე, რომლებიც, ვფიქრობთ, თავის მოვალეობას თავს მთლად კარგად ვერ ართმევენ

SECURITY

სიტყვა, რომელიც ქვესათაურში გამოვიყენეთ, ლექსიკონს თუ ვენდობით, რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება. ესენია: უსაფრთხოება, დავალებულება, დარწმუნებულობა, გარანტია. ლექსიკონი კი ისეთი რამაა, შეგვიძლია, ვენდოთ. მაგრამ, ვფიქრობთ, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა წერია ლექსიკონში, მთავარია, როგორ ესმით ამ სიტყვის მნიშვნელობა იმ ადამიანებს, სტადიონზე „სექურითებად“ რომ მუშაობენ. ჩვენი აზრით ასე: ადამიანი, რომელსაც ფეხბურთის ყურებაში ხელფასს უხდენ.

საქართველოს ნაკრების ყოველ მატჩზე ერთსა და იმავე სურათს ვაწყდებით. დგას „სექურითი“ და თვალის მოდინისკენ უფრო ხშირად გაურბის, ვიდრე ტრიბუნისკენ. ტრიბუნისკენ უფრო მაშინ იხედება, უწყისო გულშემატკივარმა რამე თუ ისროლა. მაშინ კი, იცოცხლეთ, აბრალებს „სექურითი“ თვალებს, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ არ იცის, ვის დაუბრალოს — სროლის მომენტში ხომ ის თამაშს უყურებდა! ჰოდა, იდგეს და უბრა-

ლოს თვალები მთელ სექტორს, ამით რამე იცვლება? ცხადია, არა. სტადიონის მომსახურე „სექურითებს“, ცხადია, უფროსი ჰყავთ, რომელიც, იმედია, მიხვდება, საით უნდა იყურებოდნენ მისი ხელქვეითები თამაშის დროს, უწყისო გულშემატკივრის გამოაშკარავება რომ შეძლონ.

ჩვენი პარტი ფანები

მაპატიეთ და, ჩვენ არ ვართ ფანები! იმ 25 ათას კაცში, ოთხშაბათს სტადიონზე რომ იდგა, ერთი-ორი ათასი კაცი თუ იყო ნაღდი ფანი, მეტი კი ნამდვილად არა.

მოდით, გავიხსენოთ, რა ხდებოდა ტრიბუნებზე, საქართველოს ნაკრებმა მეორე გოლი რომ გაუშვა: სტვენა, სტვენა და კიდევ ერთხელ სტვენა. ჩვენ ვუსტვენდით ჩვენს ფეხბურთელებს, რადგან მათ გოლი გაუშვეს და გონს მოსასვლელად რამდენიმე წუთი დასჭირდათ.

საქართველოს ნაკრებს რამდენიმე წუთის განმავლობაში ვუსტვენდით იმ მატჩზე, რომელიც საუკეთესო იყო ეროვნული გუნდისთვის ბოლო წლებში.

საქართველოს ეროვნული ნაკლები: გოლია და სკუბატონები

ამ დროს, თითოეულ ჩვენგანს ერთხელ მაინც უნახავს ტელევიზორში, ვთქვათ, ინგლისური პრემიერლიგის მატჩის რეპორტაჟი და ალბათ ყურადღებასაც მიაქცევდით: გუნდი მარცხდება, ბოლო წუთებია, თამაშის გადარჩენის შანსი თითქმის, ან საერთოდ არ არსებობს, გულშემატკივარი კი მაინც ბოლო წამამდე განაგრძობს ქომაგობას.

მაგრამ ამ პრობლემას, ვფიქრობთ, ეშველება და მას დრო გამოასწორებს. თუმცა იმაში ძალიან გვეპარება ეჭვი, რამე ეშველოთ იმ ადამიანებს, სამშაბათს ახალგაზრდული გუნდების მატჩის მერე რაც ხელში მოხვდათ, ყველაფერს რომ ესროდნენ და აგინებდნენ მოედნის შუაგულში საცოდავად შეყუჟულ დანიელებს.

მოდით, გავარჩიოთ: თამაში დამთავრდა და დანიამ სრულიად დამსახურებულად მოუგო მეტოქეს. აქ ყველაფერი უნდა მთავრდებოდეს და არავის ჰქონდეს პრეტენზია, რომ დაჩაგრეს და მამამალობით მოუგეს. ანუ, მაყურებელს ალაღად გამარჯვებულთან პრეტენზია არ უნდა გაჩნდეს. იმ უწყისო მაყურებლებს შორის კი ასაკოვანი ხალხიც იყო. ჩვენ მათ ვერ ვასწავლით სტადიონზე მოქცევის წესებს, ვერაფერს გაიგებენ. მხოლოდ

ამას ვურჩევთ ჩხუბი გინდათ? გაიყავით და ერთმანეთს ურტყით.

პრესაო

თუ ბირჟა?

ძალიან ცუდია, როცა ელემენტარულ რამეებზე გვიხდება ლაპარაკი, მაგრამ გვიხდება და რა ვქნათ?!
მატჩის მერე, მოგვხსენებთ, პრესკონფერენცია ტარდება. ერთ მხარეს მწვრთნელები, პრესატაშე და, შეიძლება, ფეხბურთელებიც სხედან, მეორე მხარეს კი ჟურნალისტები, ფოტორეპორტიორები და ოპერატორები. ჟურნალისტი სვამს კითხვას, მწვრთნელი კი პასუხობს. ნუთუ აქ რამე მთლად გასაკები ან გაუგებარია?
საქართველო — დანიის მატჩის მერე და იქამდეც, ჩვენი ნაკრების წინა მატჩებზეც პრესკონფერენციაზე შედის ყველა, ვისაც არ ეზარება. უფრო სწორად, არ ეზარება და ამავე დროს თავი ძლიერი ამა ქვეყნისა ჰგონია. ამავე დროს, ამ ადამიანებს ისიც ჰგონიათ, რომ თავად სრულიად უადგილოდ კომენტარი თუ არ დაურთეს, ქვეყანა დაიქცევა.

ბატონებო, გარწმუნებთ, რომ არ დაიქცევა, პრესკონფერენცია კი უთქვენოდ უკეთესად ჩატარდება.

ჩვენი პარტი

ფანები

მაპატიეთ და, ჩვენ არ ვართ ფანები! იმ 25 ათას კაცში, ოთხშაბათს სტადიონზე რომ იდგა, ერთი-ორი ათასი კაცი თუ იყო ნაღდი ფანი, მეტი კი ნამდვილად არა.

მოდით, გავიხსენოთ, რა ხდებოდა ტრიბუნებზე, საქართველოს ნაკრებმა მეორე გოლი რომ გაუშვა: სტვენა, სტვენა და კიდევ ერთხელ სტვენა. ჩვენ ვუსტვენდით ჩვენს ფეხბურთელებს, რადგან მათ გოლი გაუშვეს და გონს მოსასვლელად რამდენიმე წუთი დასჭირდათ.

საქართველოს ნაკრებს რამდენიმე წუთის განმავლობაში ვუსტვენდით იმ მატჩზე, რომელიც საუკეთესო იყო ეროვნული გუნდისთვის ბოლო წლებში.

ივანე
პრემიერლიგა
გადაღებული მატჩი
დუბლინი — შიმონი (გადაიღო)



გაბრიელ კატილინის ფოტო

ტომასონი და კალაქი შეთანხმდნენ: ეს იყო მოულოდნელად კარგი თამაში

ოღონდ დანიელი კალიან ცუდ მსაჯობაზე ნუწუნებს

0:1 ტომასონი, მე-9 წუთი, 1:2 ტომასონი, 65-ე წუთი — დანიის ნაკრების მილანელმა კაპიტანმა იონ დალ ტომასონმა გუშინდელ თბილისში ორჯერ დაანინაურა, მაგრამ მისმა პარტნიორებმა ველარ ივარგეს და საქართველოსთან ქულასლა დასჯერდნენ. არადა, დანია მოგების იმედით და აშკარა ფავორიტად გვევლინება.

დანიელთა ლიდერი, მეგობრული და საქართველოს ნაკრების გამამხმარებელი უკვე მილანშია და იტალიის ჩემპიონატისთვის ემზადება...

- კარგი და დაძაბული მატჩი რომ გამოვიდა, ვფიქრობ, ეს საკამათო არავისთვის უნდა იყოს. ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ მაინც უნდა მოგვეგო, სამი ქულა პაიროვით გვჭირდებოდა.
- საქართველოსაც ხომ სჭირდებოდა სამი ქულა?
- მატჩიც ამიტომ გამოვიდა ასეთი კარგი.
- მეტოქისგან ასეთ წინააღმდეგობას ელოდით?
- ჩვენ ვიცოდით, რა გუნდს ვეთამაშებოდით და რთული მატჩისთვის მზად ვიყავით, მაგრამ, მართლაც არ მეგონა, საქართველო ასე თუ დაგვეხდებოდა. თუმცა დანიას რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა, თანაც თბილისში ვთამაშობდით და მოგებაც ალბათ ამიტომ ვერ შევძელით, მსაჯემაც არ მოგვაგებინა.
- რატომ?
- მესამე, რომედალის გოლი ნაღდი გოლი იყო, მაგრამ მსაჯებმა თამაშგარე გამოიგონეს.
- მსაჯობით უკმაყოფილო ხართ?
- უკმაყოფილო სხვა სიტყვაა. ძალიან ცუდი მსაჯობა იყო, რამაც მოგება უფრო გაგვირთულა.
- ესე იგი, შედეგიც არალოგიკურად მიგაჩნიათ?
- დიახ! დანიას უნდა მოეგო, ჩვენ სამ ქულას ვიმსახურებდით.
- საქართველო არ იმსახურებდა?
- ქართველების თამაში ძალიან მომეწონა, მათ ტექნიკურ-ტაქტიკურად გამართულად ითამაშეს.
- თუმცა მაშინ შეცდნენ, როცა თქვენ გოლები გაიტანეთ. თქვენი პირველი გოლი ლოგიკური იყო?
- როგორ ვითხრათ, მქონდა მომენტები და გამოვიყენე. პირველი

- გოლისას კი ქართველი მცველები შეცდნენ, დასარტყელად კარგი პოზიცია შემექმნა და მეც ვაგიტანე. ისე, იმ ეპიზოდში რომ ველარ დამერტყა, მაშინ პენალტი იქნებოდა, მცველმა მხარი გამკრა.
- საქართველოს ნაკრებიდან რომელიმე ფეხბურთელს თუ გამოარჩევთ?
- ვერავის გამოვიყოფ, ყველამ კარგად ითამაშა... ისე, ჩემთვის ეს არ უნდა გეკითხათ.
- რატომ?
- რა თქმა უნდა, საუკეთესო კალა იყო, კალა კი გეტყვით, რომ დანიელთაგან საუკეთესო მე ვიყავი.
- კალაქსთან უკვე მოასწარით მატჩის გარჩევა?
- დიახ, დაახლოებით ნახევარი საათი ვილაპარაკეთ, ბოლოს კი შევთანხმდით, რომ მოულოდნელად კარგი თამაში გამოგვივიდა. მატჩში საუკეთესოებზეც დღეს შევთანხმდით.
- მოკლედ, თამაშით კმაყოფილი ხართ, შედეგით — არა.
- მოგვეგო, უკეთესი იქნებოდა.
- და ერთიც უკრაინამ თურქეთში მოგებით ჯგუფში პირველობისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. თქვენ რას იტყვით?
- ასე არ ვფიქრობ. უკრაინა დღეს ლიდერია, მაგრამ წინ კიდევ ბევრი თამაშია და ისინი კიდევ მოასწრებენ ქულების დაკარგვას. ვერჯერობით არაფერი გადაწყვეტილა, უკრაინასთან ჩვენც სათამაშო გვაქვს და საქართველოსაც დარწმუნებული ხართ, რომ უკრაინა ამ ორივე მატჩს მოიგებს, ან ალბანეთში აიღებს სამ ქულას? ყველაფერი წინაა და ჩვენ ჩვენს სიძლიერეს კიდევ დავამტკიცებთ.

კობა ინასარიძე

სალხი პარტი, სალხი პრაზატი?! ერთი ლავანა აქაც გვინდობს

ჩვენ არ ვიცით, სად და როდის ვარჯიშობს საქართველოს ნაკრები; ჩვენ ზოგჯერ ვიცით სად, მაგრამ არ ვიცით როდის მართავს პრესკონფერენციას ნაკრების მწვრთნელი; ჩვენ არ ვიცით, ვინ და რატომ უნდა შევაწუხოთ ამ ყველაფრის გასაგებად; ჩვენ არ ვიცით, ვის და რატომ ეკუთვნის ნაკრების მატჩზე დასასწრები აკრედიტაცია; ჩვენ საერთოდ არაფერი ვიცით საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებზე; ჩვენ არ ვიცით, რატომ არ აქვს ეროვნულ გუნდს ოფიციალურ მატჩამდე მოსამზადებელი შეკრების გეგმა; ჩვენ არ ვიცით, რა ჯურის ხალხი ზის პრესლოყაში; ჩვენ არ ვიცით, რატომ მეორდება ასეთი ქაოსი, განუითხობა და ფეხებზე-მკიდიაობა მუდმივად...

ჩვენ მოგვებრდა ამდენი უთავბოლოობის, უყურადღებობისა და უაზრობის ყურება; ჩვენ მოგვებრდა ამდენი წვალება და ზემოთ ჩამოთვლილი გასაიდუმლოებული ამბების გასაგებად ნაცნობ-უცნობების შეწუხება; ჩვენი თხოვნაც არის და მოთხოვნაც, ფეხბურთის ფედერაციას ჰყავდეს პრესსამსახურის ისეთი უფროსი, რომელიც ამ კითხვებზე გვიპასუხებს, ჩვენ ვითხოვთ საშველს!

და არა უსაშველოდ გავუღილო უსაშველოს! არ გვეგონოთ, ყოველივე ზემოთქმული ჩვენი რამ ზუსტურები იყოს და უმიზეზოდ ვაზიზ-ვაკარიზობდეთ. ჩვენზე უკეთ საქმესა და უსაქმურობას ვერავინ დაინახავს, რადგან საკუთარ ტყავზე და ნერვებზე გვაქვს ბევრი რამ ნაწუნევი. ამიტომაც მართლა საქმის მკეთებელი ხალხის დანახვა იოლად შეგვიძლია. მაგალითი გნებავთ? აგერ, ბატონო — თბილისის „დინამოს“ პრესსამსახურის უფროსი ლევან სალუქვაძე — დღევანდელ ქართულ ფეხბურთში ერთადერთი კაცი, ვისთანაც იოტისოდენა პრეტენზიაც კი არავის აქვს. ასე რომ, გულისტკივილიც და მაგალითიც ჩვენზეა, საქმე თქვენზე იყოს.

კახა ზალამბერიძე

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის | | შესარჩევი ჯგუფი ჩვენი მატჩი

თურქეთი

1984 წელს თურქეთი შინ ინგლისთან 0:8 დამარცხდა, გუშინწინ კი ოსმალეთმა უკრაინასთან მატჩი 0:3 დათმეს და ინგლისთან შერცხვენის შემდეგ დიდი ანგარიშით სამშობლოში პირველად წააგეს. ბოლოს ოსმალეთს სტამბოლში შევიცარიის ნაკრებმა (2001 წელს) მოუგო. ამიტომაც გამოდგა უკრაინელებთან დანოქება მწარე და ვიფიქრებთ თურქმა ფანებმა ერსუნ იანაღლის გადადგომა მოითხოვეს „იანაღ, წადი“ ყვიროდა 40 ათასამდე გულშემატკივარი, როცა 89-ე წუთზე შეჩენკომ ანგარიში 3:0 გახადა.

„ერთი მატჩის წაგებით ქვეყანა არ დაქვევდება“ — განაცხადა თურქთა ხოჯამ პრესკონფერენციაზე. „თქვენ მსოფლიოს მესამე გუნდი ჩაიბარეთ“, გაახსენეს მას, რაზეც მიუგო: „მსოფლიოს მესამე კი არა, ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე კერგასული გუნდი ჩავიბარე, თითოეული მარცხის შემდეგ მწვრთნელები რომ მიდიოდნენ, მათი შემცველებების მოძებნას ვერ მოასწრებდნენ“.

თურქმა ჟურნალისტებმა ჰაკან შუქურზეც ჰკითხეს. გუნდმა თითხმეტი კუთხური ჩააწოდა და თავით დამრტყმელი კაცი არ გვაყვდა, ხომ არ ნანობთ, შუქური ნაკრებიდან რომ გაუშვითო. ერსუნ

არ წაგვად! იანაღი საამიდან ვერ წამოაგდებს



მარტს და სირცხვილნაჭამი ერსუნ იანაღი მოხეიმე უკრაინელებში

იანაღმა მოკლედ მოჭრა, ახლა მაგის გარჩევის დრო არააო. სტამბოლური შეხვედრის პირველ ტაიმში პორტუგალიელ მსაჯ ლუსილიუ ბატისტას ტრიბუნიდან ნასროლი ხურდები თავში მოხვდა, ოღონდ ფრისკივით შუბლი არ

ვახეთქვია. ბატისტამ მოეღინდინა ხურდა ფული წამოკრიფა და ნიეთმტკიცება მეოთხე მსაჯს გადასცა. მომხდარის გამო თურქეთის ფეხბურთის ფედერაციას ჯარიმის გადახდა მოუწევს.

რომან თურკია

ფეხბურთი

ფე ამერის საფეხბურთო სკოლა პირველი ლიგა

21 ნოემბერი

მეთოთხმეტი ტური

ამერი — მილანო-მერანო

თბილისი 15:00

დასაწყისი 14 საათზე. დასრულება უფასოა მის: თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულას გადასახვევთან)

მატჩის მსვლელობა ონლაინ-რეჟიმში საიტზე: www.fcameri.ge





2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. V ტურნი

სომხებმა გენერალი იტრდანესკუ ჩაითავსეს



მილან ბაროში მოედნიდან გასასვლელად დახმარება დასჭირდა

I ჯგუფი

ანდორა 0:3 ჰოლანდია
0:1 კოკუ (21), 0:2 რობენი (31), 0:3 სნეიდერი (78)
სამხრეთი ჩრდილოეთი
0:1 მარია (29), 1:1 დობოიანი (63)
გაბალონია 0:2 ჩხეთი
0:1 ლოკვენი (87), 0:2 კოლერი (90)

ჰოლანდიამ ბარსელონაში ანდორელებს 3:0 მოუგო და 2004 წელი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფში პირველი ადგილით ჩამოთვრა. რატომ ბარსელონაში? იმიტომ, რომ ანდორა ბარსელონასთან ახლოს მდებარე მთიანი ადგილია და ჰოლანდიის მასპინძლობა კატალონიის დედაქალაქში ამჯობინა. მაგრამ ეს ყველაფერი გეოგრაფიაა, ხოლო ფეხბურთი ისაა, რომ მატჩის 21-ე წუთზე ფილიპ კოკუმ ანგარიში გახსნა, ათი წუთის შემდეგ არიენ რობენმა მეორე შეაგდო, ხოლო საფინალო სასტვენამდე 12 წუთით ადრე ვესლი სნეიდერმა მესამე გაიტანა.

ამ შეხვედრაში მარკო ვან ბასტენმა დაშვებული რაფაელ ვან დერ ვარტის ადგილზე ბარი ვან გალენი ათამაშა და, ასე და ამგვარად, ჰოლანდიის ნაკრების ისტორიაში გამოჩნდა ყველაზე ხანდაზმული დებიუტანტი — ვან გალენი 34 წლისაა.

გასაკვირი რა უნდა იყოს, რომ „ორანიეს“ შემადგენლობაში „ჩელსის“ ვარსკვლავმა, ბოლო ხანს ყოველმხრივ ნაქებმა რობენმა გამოიჩინა თავი საუცხოო თამაშით. პირველი მომენტიც მას ჰქონდა — ორ მეტოქეს ჩაურბინა და დაარტყა, მაგრამ მიზანს ააცილა. სამაგიეროდ, მე-13 წუთზე მიზანში ანდორელებმა ლიდევონს ლიმა გაარტყა, თუმცა მსაჯმა მიიჩნია, რომ იგი ჰოლანდიელ მეკარეს, ედვინ ვან დერ სარს „თავს დაესხა“.

21-ზე რობენმა ის ჯარიმა მოიპოვა, რომლითაც შემდეგ კოკუმ ანგარიში გახსნა — მეორე, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თავად გაიტანა — ხოლო 78-ზე ისევ და ისევ რობენმა მიაწოდა სნეიდერს საგოლე პასი.

ჩეხებმა მაკედონიაში თამაშის ბოლო სამ წუთში გატანილი ორი

გოლით მოიპოვეს თავიანთი მეცხრე ქულა. სტუმრები მთელი შეხვედრის განმავლობაში ინიციატივას ფლობდნენ, მაკედონიელები კი პერიოდულ კონტრშეტევებს სჯერდებოდნენ.

მე-17 წუთზე შეხვედრის პირველი დასამახსოვრებელი და ჩეხთათვის სამწუხარო ამბავიც მოხდა: თავდამსხმელი მილან ბაროში დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა.

მასპინძლებმა ყველაზე სახიფათო მომენტი 30-ე წუთზე შექმნეს, როდესაც გორან პანდევმა დრაგან კადოვის მიაწოდა, მაგრამ ამ უკანასკნელის 16 მეტრიდან დარტყმული მიზანს აცდა. ამის გარდა, ამ დღეს ყველაფერი ჩეხების გამარჯვებას მოასწავებდა.

რაც შეეხება გოლებს, როგორც მოგახსენეთ, ევრო 2004-ის ნახევარფინალისტებმა ისინი ბოლო სამ წუთში შეყარეს. პირველი ლოკვენმა კარელ პობორსკის პასით გაიტანა, მეორე კი იმავე პობორსკიმ კოლერს გაატანინა.

სომხეთმა კი ერევანში რუმინეთთან ითამაშა 1:1. ამ ამბავმა რუმინეთში ქომაგები გააბრაზა, ისინი აეროპორტში დახვდნენ თავიანთ ნაკრებს და მწვრთნელს, ცნობილი ანგელ იორდანესკუს გადადგომა მოითხოვეს. ამბობენ, რომ რუმინელთა 96 პროცენტი იორდანესკუს გადადგომის მომხრეა.

„იორდანესკუს გადადგომაზე ლაპარაკი იქნება“ — განაცხადა რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მირჩა სანდუმ, რუმინულმა გაზეთებმა კი თავიანთი ფეხბურთელები კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. ისინი განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს, რომ სომხეთის ნაკრებს გოლი დიდი ხანი არ გაუტანა და ეს მაინც და მაინც რუმინეთთან შეძლო.

„ეს ფრე ათ წაგებას უდრის“ — წერდა გაზეთი „ნაციონალი“.

ბაბუნა კეღია

ჰოლანდია	4	3	1	0	10:3	10
რუმინეთი	5	3	1	1	10:5	10
ფინეთი	5	3	0	2	10:6	9
ჩეხეთი	4	3	0	1	6:2	9
მაკედონია	5	1	1	3	6:7	4
ანდორა	4	1	0	3	2:11	3
სომხეთი	5	0	1	4	2:12	1

III ჯგუფი

რუსეთი 4:0 ისტონეთი
1:0 კარიაკა (23), 2:0 იზმაილოვი (25), 3:0 სიჩოვი (32), 4:0 ლოსკოვი (67)
ლიხტენშტაინი 1:3 ლატვია
0:1 ვერპაოვსკისი (7), 1:1 ფრიკი (31), 1:2 ზემლინსკისი (57), 1:3 პროხოროვსკი (89)
ლუქსემბურგი 0:5 პორტუგალია
0:1 ბოა მორტე (11), 0:2 კ. რონალდო (27), 0:3 მანიშე (51), 0:4, 0:5 პაულეტა (66, 83)

რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის, ვიჩენსლავ კოლოსკოვის მოხსნას ორი კვირის წინ აპირებდნენ. თავის მხრივ, კოლოსკოვი ნაკრების მწვრთნელ გეორგი იარცევის გათავისუფლებას აპირებდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა პორტუგალიასთან 1:7 წააგო. კავშირის პრეზიდენტი ჯერჯერობით კუთვნილ სავარძელში ზის, ესტონეთთან მოგებით კი ნაკრების თავკაცმაც შეინარჩუნა ადგილი.

რუსებმა ესტონელებს კრასნოდარში უმასპინძლეს და ნახევარსაათში ყველაფერი გაირკვა. ლოსკოვის პასით ანგარიში ანდრეი კარიაკამ გახსნა. ორიოდ წუთში მისი პასით მარატ იზმაილოვმა მეორე გაიტანა, ხოლო მოგვიანებით დმიტრი სიჩოვმა დაახლოებით თვრამეტი მეტრიდან ბურთი ცხრიანში შეჭვდა. მეორე ტაიმში კერჟა-

მსტონეთმა იარცევი დატოვა ლატვიის სტარკოვის სტარკოვის დასრულდა


კოვის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ლოსკოვმა გამოიყენა.

ლატვიის ნაკრებიდან ოფიციალურად წავიდა ალექსანდრ სტარკოვისი, რომელსაც კონტრაქტი დაუმთავრდა. იგი ორი თვის წინ მოსკოვის „სპარტაკის“ მწვრთნელად დანიშნეს და ახლა საკლუბო საქმეს მიხედავს. ლატვიელებმა სტარკოვისი ლიხტენშტაინში მოგებული მატჩით გააცილეს. ვერპაოვსკისმა მეშვიდე წუთზე დააწინაურა სტუმრები. შესვენების შემდეგ ზემლიანსკისმა პენალტით იხიერა, ხოლო შეცვლაზე შესულმა პროხოროვსკმა თავური დარტყმით შეაგდო. მასპინძელთაგან ერთის გაქვითვა მარი ფრიკმა მოახერხა.

სტარკოვისს სავარაუდოდ იური ანდრეევი შეცვლის, მისი დებიუტი მომავალი წლის მარტში, ლუქსემბურგთან მატჩში შედგება.

პორტუგალიამ ლუქსემბურგი სტუმრად დაახურდა. პედრუ პაულეტამ ღუბლი შეასრულა და ლუქსემბურგის სკოლარის ნაკრები ჯგუფში პირველ ადგილზე გადავიდა.

მაშა ხუციშვილი



გეორგი იარცევა რუსეთი შეინარჩუნა

პორტუგალია	5	4	1	0	20:3	13
სლოვაკეთი	4	3	1	0	15:3	10
რუსეთი	4	2	1	1	10:8	7
ლატვია	5	2	1	2	10:12	7
ესტონეთი	5	2	1	2	8:11	7
ლიხტენშტაინი	5	1	1	3	8:14	4
ლუქსემბურგი	6	0	0	6	4:24	0

კეჩეხანი მსტონეთის შედეგ

VII ჯგუფი

გაბრია 0:2 სერბეთი
0:1 ვუკიჩი (7), 0:2 კეჩეხანი (60)
სან მარინო 0:1 ლიტვა
0:1 ჩენაუსკისი (42)

ბრიუსელში ბელგიის დამარცხებამ ბელგრადული გაზეთები ასეთი სათაურებით ააჭრელა: „გიგანტური ნაიჯი წინ“, „გერმანიას კიდევ უფრო მიუახლოვდით“, ხოლო ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა დრაგან სტილიკოვიჩმა ბელგიასთან გამარჯვებას უდიდესი უწოდა.

სერბებმა ჯგუფში პირველ ადგილზე გადაინაცვლეს. მასპინძლებს დისკვალიფიცირებული ბარტ გორორი და ერიკ დეფლანდრე აკლდათ, ხოლო მძევი მპენზები ნაკრებს ტრავმის გამო ვერ დაეხმარნენ.


მეშვიდე წუთზე სავო მილოშევიჩმა ლონცკის „შახტარის“ ლეგიონერი ზონიმიერ უუკიჩი სილვიო პროტოსთან პირისპირ გაიყვანა და უუკიჩმა ნაკრების დებიუტანტ მეკარეს გაუტანა.

სტუმრებს სავო მილოშევიჩი პირველ ტაიმში დაუშავდა და მის ნაცვლად მატეა კეჩეხანი შევიდა, რომელმაც მეორე ტაიმში საამო გოლი შეაგდო — რამდენიმე მცველში გატერა და პროტოსაც აჯობა. კეჩეხანს 28 თვეა, სანაკრებო გოლი არ გაუტანა და ნავსი ბრიუსელში გატეხა. „ვიცილი, რომ ძირითად შემადგენლობაში არ ვიქნებოდი, მაგრამ ჩემს შანსს ველოდი და კიდევ გამოვიყენებ. მაგლობა მწვრთნელს და თანაგუნდელებს“. ამ მარცხმა ბელგია ცხრილში

სან მარინოს მეზობლად აქცია და მწვრთნელ ემე ანტუნესს ეჭვება, რომ თანამდებობაზე დატოვებენ, რადგან მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე ბელგიელთა მოხვედრა თითქმის შეუძლებელია.

მაშა ხუციშვილი

სერბეთი	4	3	1	0	10:0	10
ლიტვა	4	2	2	0	6:1	8
ესპანეთი	3	1	2	0	3:1	5
ბოსნია	2	0	2	0	1:1	2
ბელგია	3	0	1	2	1:5	1
სან მარინო	4	0	0	4	0:13	0



ემე ანტუნესს ეჭვინმა და მისმა თანაგუნდელებმა სავარაუდოდ სამსახური დააყარგინეს



IV ჯგუფი

კვიპროსი 1:2 ისრაელი
0:1 ვისი (16), 1:1 ოკასი (45), 1:2 ნიშე (86)
ირლანდია 4 2 2 0 6:1 8
საფრანგეთი 4 2 2 0 4:0 8
ისრაელი 4 2 2 0 6:4 8
შვეიცარია 3 1 2 0 9:3 5
კვიპროსი 5 0 1 4 4:11 1
ფარერები 4 0 1 3 2:12 1

VIII ჯგუფი

გაბრია 0:2 უნგრეთი
0:1 გერა (39), 0:2 პ. კოვარი (90)
შვედეთი 4 3 0 1 14:2 9
ბულგარეთი 3 2 1 0 9:4 7
ხორვატია 3 2 1 0 6:2 7
უნგრეთი 4 2 0 2 5:8 6
ისლანდია 4 0 1 3 4:10 1
მალტა 4 0 1 3 1:13 1



2006 წლის ასოფლიურ ჩემპიონატის
შესარჩვევი ეტაპი. აზია. VI ტური

Table with 2 columns: I ჯგუფი (Group I) and V ჯგუფი (Group V). Each column contains match results and statistics for various teams like ირანი, იორდანი, ყატარი, ლაოსი, etc.

2006 წლის ასოფლიურ ჩემპიონატის
შესარჩვევი ეტაპი. აფრიკა. V ტური

Table with 2 columns: V ჯგუფი (Group V) and VI ტური (Round 6). Shows match results for teams like გვინეა, კენია, მაროკო, etc.

2006 წლის ასოფლიურ ჩემპიონატის
შესარჩვევი ეტაპი. კონკაკაფი

Table with 2 columns: II სახვალდიფიაცია ციო რეა. VI ტური (II Concacaf Division Two Round 6) and III ჯგუფი (Group III). Includes match results for teams like აშშ, პანამა, იამაიკა, etc.

ახანაგური მატჩები
ექსპერიმენტი
და შედეგი



ვინჩენცო მონტელას მკრატელას გოლი არ მოჰყოლია

„ასეთი უამრავი გამოცდის შემდეგ... ბურთს მატჩის მსვლელობისას თანდათან დაწყებულნი და საკუთარი ძალების რწმენაც შეემატათ — განაცხადა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ლიპომ, შემდეგ კი დასძინა — იყო მონაკვეთი, როდესაც ბურთის წინ, შორს გადავდებით ვცდილობდით მოწინააღმდეგის კართან მიახლოებას, მაგრამ უფრო მეტი დროის განმავლობაში მანც ვათამაშებდით მას და საბოლოოდ ამ ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ იტალიის გრძელი სკამი აქვს, ანუ ბევრ მთამაშეზე შეუძლია დაყრდნობა.“

შეგახსენებთ, რომ მატჩამდე ლიპის ძალიან საყვედურობდნენ აღიარებული ვარსკვლავების ნაცვლად გამოუცდელი ახალგაზრდების მიწვევას, მაგრამ საყვედურების მიუხედავად, პრესკონფერენციაზე მწვრთნელმა ერთხელაც გაიმეორა, რომ „სკუადრა ატურასი“ ამიერიდან ახალი სახეები მუდმივად იქნება:

„იტალიის ნაკრების მომავალი ძველი და ახალგაზრდა მთამაშეების შერევაა. მარტამდე, როდესაც შოტლანდიის ნაკრებს ვხვდებით, ოფიციალური მატჩი აღარ გვაქვს, მაგრამ გვაქვს დრო, რათა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი გამოვცადოთ. მინდა საგზაშით ვუთხრა მადლობა 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელს, კლაუდიო ვენტილეს, რომელმაც „ფორენტინას“ მცველი ჯორჯო კელინი მათხოვა და მისი გამოცდის საშუალება მიემცა“ — დასძინა ტაქტიკოსმა, რომელმაც კელინი მეორე ტაიმში პარიზის ნაცვლად შეუშვა მოედანზე და ამ ფეხბურთელისგან პასუხად კარგი თავდაცვა და რამდენიმე სახიფათო ჩაწოდება მიიღო.

აპაუნა კილია

იტალია 1:0 ფინეთი
10 მიკოლი (33)
იტალია: პელიცოლი, ბარძალი, ძაკარდო, მატერაცი, პარიზი (კიელინი 46), ესპოზიტო (დიანა 46), დე როსი (ბარონე 63), ბლაზი, მაური, ტონი (კარაჩოლო 69), მიკოლი (მონტელა 46)
ფინეთი: იასკელაინენი, კუივასტო, კალიო, ნორმელა, ლიტმანენი, ვაირინენი (ოკონენი 69), ერიომენკო, კოლკა, კოპტეფი, ჯ. იოჰანსონი (შულტაბაროუ 63), კუქი
მსაჯი: დან ტუდორი (რუმინეთი) 12 000 მაყურებელი
ფაბრიციო მიკოლის მიერ 33-ე წუთზე საჯარო დარტყმით განიღმა გოლმა „სკუადრა ატურასი“

გვარიანად ექსპერიმენტულ შემაღენლობას ფინეთის ნაკრები დაამტკიცებინა. რაც შეეხება ნაკრებში დაბრუნებულ ვინჩენცო მონტელას, მან ძელს გაარტყა ბურთი.
საინტერესოა, რომ მესინას „სტადიო სან ფილიპოზე“ შეკრებილი 12 ათასი მაყურებლის წინაშე „სკუადრა ატურასი“ მაისურა ისტორიაში პირველად მოირგო ალესანდრო პარიზში, რომლის გარდაც კიდევ ხუთი დებიუტანტი ჰყავდა მარჩელო ლიპის, ყველაზე გამოცდილი მთამაშე კაბიტანი მარკო მატერაცი გახლდათ.

საფრანგეთი 0:0 პოლონეთი
საფრანგეთი: ლანდრო, სანიოლი, ბუზონგი, სკოლინი (გიფე 46), გალასი, პედრეტი, ვიერა, ფოლი (გოუ 26), მალუდა (ფრა 46), ანრი, საა (ბერეში 65)
პოლონეთი: დუდევი, რეხა (ფეველიკოვი 56), ბაშჩინსკი, კალუშინი, კოსოვსკი (გორავსკი 90), ბაკი, კრფინოვეცი (რადომსკი 90), შაიტო (კლოსი 46), შიმოვიკი (მილა 66), შურავსკი, ფრანკოვსკი (რასიკი 81)
მსაჯი: ოლეგარიუ ბენვერენა (პორტუგალია) 50 000 მაყურებელი
პოლონელმა მეკარემ ირვი დუდეკმა „სტად დე ფრანსზე“ თავისი ქვეყნის ნაკრებს 0:0 შეაძლებინა. დიანა, ამ მატჩის ამკარა გმირი „ლივერპულის“ სათადარიგო გოლკეპერი გახლდათ, რომელმაც არაერთი და ორი უმაღლესი კლასის ეპიზოდი შესთავაზა მაყურებელს, ხოლო სებასტიან სკილარისა და უილიამ გა-

დუდეკა ფრანგების
დაპრულზე არ ისეკვა

ლასს პირველი ტაიმში, უბრალოდ ნაღდი გოლები ჩაუშალა.
ერთი სიტყვით, მასპინძლებს დიდი იმედგაცურების დღე ჰქონდათ. თავად განსაკუთრებით, პირველივე შეტევა მომენტი იყო: ტიერი ანრის ჩაწოდებულ კუთხურს ჟან-ალენ ბუმსონგმა თავური დაჭრა, თან ახლოდან, შემდეგ ბურთს ლუი საამაც წაჭკრა თავი, რასაც დარტყმა ანრიმ მიაცილა, მაგრამ დუდეკის მოგერიებული ხარისხს მოხვდა და კუთხურზე გადავარდა.
„არსენალის“ თავდამსხმელს, ანრის, მე-15 წუთზე კიდევ ჰქონდა

ერთი საგოლე მომენტი, საჯარო მოედანში ტომას ჰაიტოს გაასწრო და დაბლა დაარტყა, მაგრამ ისევ დუდეკმა იყონა.
საერთოდ, ბურთს მეტწილად მასპინძლები ფლობდნენ, თუმცა პერიოდულად პოლონელების კონტრშეტევებს აწყდებოდნენ. ყველაზე სახიფათო სახიფათო მომენტი სტუმრებმა მე-18 წუთზე შექმნეს, მაგრამ უმეთვალყურეოდ დარჩენილმა კამილ კოსოვსკიმ ზუსტად დარტყმა ვერ მოახერხა.
შემდეგ, როგორც თავშივე მოგახსენო, სკილარისა და გალასის ჰქონდათ წარმოუდგენლად რეალური შანსები, რომლებიც დუდეკმა დიდებულად უკუაგლო.
მეორე ტაიმის მეოთხე წუთზე ფრანგების მეტისმეტად შეტევისმოყვარულობამ თუ უგოლობით გამოწვეულმა გაღიზიანებამ პოლონელ ტომას ფრანკოვსკის მათი კარისკენ გზა-სავალი გაუხსნა, თუმცა მისი ამოკრული ბურთი მასპინძელთა კარს უკან უკბილოდ ჩაუშვა.
88-ე წუთზე დუდეკმა კამელ მერიემის დარტყმული მოიგერია და ესეც განსაკუთრებით აღსანიშნავი მომენტების სიაში მოხვდა.

აპაუნა კილია



ტიერი ანრიმ და მისმა თანაგუნდელებმა პოლონელებს ვერაფერი დააყლეს

სარბიელი
სამუშაოდ ინვაზს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბალონებელს
მიღება მოხდება შარჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“
რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,
II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

საქართველოში ფეხბურთის მატჩები

ფეხბურთი ბავშვი

რუნი ბერნაბეუს დანგრევას აპირებდა

ესპანეთი 1:0 ინგლისი
 1:0 დელ ორნო (9)
 რაულმა ვერ გაიტანა პენალტი (25, მეკარე)
ესპანეთი: კასილიასი, სალგადო, ხუანიტო, მარჩენა (იბანიესი 46), დელ ორნო, ხოაკინი (რომერო 80), ხაბი ალონსო (ორბაისი 70), ხავი, რეიესი (ანგულო 58), რაული (გუტი 46), ფ. ტორესი (ლუპე 46)
ინგლისი: რობინსონი, გ. ნევილი, ფრედინანდი (კარაგერი 62), ტერი (აბსონი 65), ე. კოული (დეფო 78), ბექემი (რაიტ-ფილიპსი 60), ბათი, ლამპარდი (ჯენსი 60), ბრიჯი, ოუენი, რუნი (სმიტი 42)
მსაჯი: გეორგიოს კანანაფერისი (საბერძნეთი)
 55 000 მაყურებელი

აი, როგორ ააფრინა ოთხშაბათ საღამოს უეინ რუნიმ: ესპანელებთან მატჩის შემდეგ სვენ გორან ერიკსონმა ინგლისელ ყრმა ვარსკვლავს „უპატივცემულობასა“ და თინიფერულ თავზებულადულობაში დასდო ბრალი. ინგლის — ესპანეთის მატჩისას რუნი ისე იქნედა ხელებს და ფეხებს, რომ მწვრთნელმა მსაჯის წითელ ბარათს დაასწრო და თავდამსხმელი 42-ე წუთზე გამოცვალა. ამხანაგური თამაში რუნიმ ერთგვარ სივიფედ აქცია. მოედნიდან გასულმა მეორე მწვრთნელს, სტივ მაკლარენს აუ-

ტეხა ჩხუბი, მის ნაცვლად შესულ ალან სმიტს ხელი არ ჩამოართვა და მკლავიდან შავი სამკლავურიც წაიძრო, რომელიც ინგლისელებს ძველი კაპიტნის, ემლინ ჰიუზის ხსოვნისადმი პატივსაცემად ეკეთათ. „იმპროვიზაციულად, რომ ყოფილი უკვე ჰქონდა ისე იქცეოდა, რომ ერთი უპრავლო ვარდია და გააფრთხილეს ეს თამაში მას თავისი ცუდი საქციელის გამო ეხსოვება — თქვა ერიკსონმა — ერთადერთი, რაც მომეჩონა, ის იყო, რომ გასახელში შემოვიდა და ყველას ბოდიში მოუხადა“.

ესპანელები მე-18 წუთიდან იგებდნენ თამაშს ასიერ დელ ორნოს



უეინ რუნი და იკერ კასილიასი დევიდ ბექემმა გააშველა

გოლით, რუნიმ კი უკვე 12-ე წუთზე მიიღო ყვითელი ხოაკინის მოჩეხვისთვის. მერე ის უხეშად შეეჯახა იკერ კასილიასს, რომელმაც კინაღამ ტრავმა მიიღო. ამ ამბიდან ორი წუთის თავზე მან კარლოს მარჩენა მოჩეხა და ერიკსონმაც გადაწყვიტა, შემლილის მოედანზე დატოვება აღარ შეიძლებოდა.

ხოაკინმა ასე განმარტა რუნის ამბავი: „ის თითქოს სხვა პლანეტაზე იყო. ეტყობოდა, რომ არ იცოდა, რას სწავლიდა. თვალბრუნებში რომ ჩაეხედე, იქ არაფერი ჰქონდა სიმშრის გარდა ასეთი მოედანზე არავინ იყო. ბოდი, მან საერთოდ არ იცოდა, სად არის“.

ასეთი იყო რუნი „ბერნაბეუსზე“. სხვათა შორის, ესპანელებმა ქომაგებმა თავი მოიჭრეს რასისტული ღრიალით ეშლი კოულის, შონ რაიტ-ფილიპსის, ჯერმენ ჯენსისა და ჯერმენ დეფოს მისამართით. კოულსა და რაიტ-ფილიპსს სულ შავი მაიმუნები ეძახეს. ინგლისელთა კაპიტანმა დევიდ ბექემმა კი გაიკვირვა ეს ამბავი: „აქ ვთამაშობ და აქ ვცხოვრობ. ასეთი რამ კი პირველად გავიგონე“.

ახლა მადრიდელ ქომაგთა ამბავს უეფა და ფიფა ერთად გამოიძიებენ.

ირაკლი გამყრელიძე



შონ რაიტ-ფილიპსს მადრიდელელებმა მიამუნნი უძახეს



შოტლანდია 1:4 შვედეთი	
01, 02 ოლბოვი (27, 49), 03 ელმანდერი (72), 04 ბერგლუნდი (73), 14 მაკვადენი (78)	01 ნინგი (38), 02 გეი (4), 12 სოფიანე (82)
შოტლანდია: მარშალი, მაკნაფტონი, მიურეი, რ. ანდერსონი, ვებსტერი (პამელი 53), მაკნამარა (სევერინი 63), ნიკოლსონი, ქვოზი (რ. პოუზი 90), ე. მილერი (ს. კოოფორდი 70), მაკვადენი, პირსონი	შვედეთი: პედმანი, ნილსონი (ოსტლუნდი 62), მელბერგი (პანსონი 46), ლუკინი (ლინდეროტი 82), დორსონი, ა. ანდერსონი, ალექსანდერსონი, კალსტრომი, ვილმელსონი (ტოუმბა 77), ოლბოვი (ელმანდერი 63), ბერგლუნდი
მსაჯი: იაროსლავ იარა (ჩეხეთი) 15 074 მაყურებელი	საქართველი 1:2 სანმარინი 01 ნინგი (38), 02 გეი (4), 12 სოფიანე (82) მარკოპო 4:0 პურკინა ფასო 1:0 ულმერ (52), 2:0 ბუხარი (68), 3:0 სარსარი (80), 4:0 იასინი (82)
აზერბაიჯანი 0:0 ბულგარეთი სლოვაკეთი 0:0 სლოვენია სამხრეთ აფრიკა 2:1 ნიგერია 1:0 ბარტლემი (23), 2:0 ვილაკაზი (60), 2:1 მაკინვა (62)	

კლინსმანს იუბილეზე უხელფასო ღონისძიებები აჩუქეს

ბერმანი 3:0 კამერუნი
 1:0 კურანი (71), 2:0, 3:0 კლოზე (78, 88)
ბერმანი: ლემანი, შნიდერი, პუთი, მერტესაკერი, ლამი (პიტლშერგერი 65), შვინსტაიგერი, ფრინგსი, ერნსტი (ბოროვსკი 80), ბალაკი, კურანი, ასამოა (კლოზე 60)

კამერუნი: კამენი, მბელა (არმან-ფო უნიე 55), მეტომო (დიუმბე 40), სონგი, ჩატო, ჯერემი, ჯემბა-ჯემბა, მაკუნი, ატუბა, ფობი (ბილაი 75), ეტო (ნდიფი 89)
გამეფე: ჯემბა-ჯემბა (81)
მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)
 44 200 მაყურებელი

მიხელო ბალაკის პასით კევინ კურანიმ გაიტანა. შეცვლაზე შესულმა მიროსლავ კლოზემ დუბლი შეასრულა, კამერუნელი ერიკ ჯემბა-ჯემბა კი უხეშობისთვის გააძევეს.



ვინფრედ შეფერი უმუშევარი დარჩა

იურგენ კლინსმანის გერმანიამ ოთხი მატჩიდან სამი მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და ცხრა გოლი გაიტანა. ბუნდესნაკრების მწვრთნელმა კამერუნთან თამაშის შემდეგ თქვა: „ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწვევთ მოიერიშე გუნდის შესაქმნელად, რომელმაც მეტოქეს მათსავე ნახევარზე უნდა სდიოს. ვედილობ, ყველა ფეხბურთელს ჩავაგონო, რომ ბურთი სწრაფად გადაიტანოს მოწინააღმდეგის კარის სიახლოვეს. ჩვენ შეტევა გვსურს. ფორვარდს მაშინ ვაქცევს, როცა თავდაჯერებულია. მეგობრულ კარგ მომენტს თუ ვააცულებს, სწრაფად უნდა დაივიწყოს, რადგან ფეხბურთელობისას მეც ბევრი მომენტი გამიფუჭებია“.

გერმანელებმა საიუბილეო, 750-ე მატჩში ლიპციგში კამერუნი დაამარცხეს. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები თავიდანვე უტყუებდნენ, ანგარიში მეორე ტაიმში გახსნეს.

ნამატჩევეს სტუმართა მწვრთნელმა ვინფრედ შეფერმა თქვა, მარცხი არ მიკვირს, რადგან თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე ფეხბურთელები ამიჯანყდნენ. „ასეთი შეხვედრის წინ პრემიების გადახდას რომ მოითხოვენ, რომელ წარმატებაზეა საუბარი?“ — განაცხადა შეფერმა. მწვრთნელს თურმე სასტუმროში უთხრეს, ფედერაციისგან კუთვნილ ფულს თუ არ მივიღებთ, სათამაშოდ არ გავალთო. ნაკრების თავაკცმა მოჯანყებები მოარჯულა და თამაშზე დაითანხმა, მაგრამ ასეთი გუნდით იუბილარ გერმანელებთან რომ წააგებდა, მოსალოდნელი იყო.

გუმინ კამერუნის სპორტის მინისტრმა ზიფერდ დაიდა ეტამე მასომამ ვინფრედ შეფერი მწვრთნელობიდან გაათავისუფლა, თუმცა „ლომების“ გერმანელი თავაკცის თქმით, მისთვის ამის შესახებ ოფიციალურად არ განუცხადებიათ.

ვაშა ხუციშვილი

ინგლისურმა „ჩელსიმ“ სავარაუდო შენაძენთა სიაში იტალიური „ლივეს“ ბულგარელი ვარსკვლავი ვალერი ბოჟინოვიც ჩაწერა.

„ბუნებრივია, ისეთი კლუბისგან, როგორიც „ჩელსია“, ყურადღება მსიამოვნებს. იტალიაში მალაიან მომწონს ყველაფერი, მაგრამ პრემიერლიგაში თამაშზეც არ ვიტყვოდი უარს. თანაც იქ ჩემს დარად უნდებოდა შერაცხული უეინ რუნი და კრისტიანო რონალდო თამაშობენ“ — თქვა 19 წლის ბოჟინოვმა. მის გარდა, „არისტოკრატები“ „ფიფენოორდის“ ორ მოთამაშეს, სალომონ კალუსა და რომეო კასტელენს აკვირდება.



ინგლისური „ლივერპულის“ პრობლემები თავდასხმაში მილან ბაროსის დაშვების შემდეგ ერთიორად გართულდა და კლუბიც სასწრაფოდ ახალ ფორვარდს ეძებს.

ფურადღების ცენტრში კვლავ ფერნანდო მორინტესია, რომელიც, თუ ბრიტანულ პრესაში გავრცელებულ ჭორებს ვენდობით, უკვე ინგლისში ჩაფრენილა მერსისაიდლებთან მოსალაპარაკებლად და სადაცაა, კონტრაქტსაც გააფორმებს.

ჩინეთის ნაკრები კვლავ უმწვრთნელოდ დარჩა. ჰოლანდიელი არი ჰანანი პოსტიდან მას მერე დაითხოვეს, რაც გუნდმა 2006 წლის მუნდიალზე მოხვედრის შანსი დაკარგა. მხარეებს შორის გაფორმებული კონტრაქტის ერთ-ერთ პუნქტში ეწერა, რომ თუ ჩინეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს ვერ მოიპოვებდა, მწვრთნელი თანამდებობას დატოვებდა.

ინგლისური „ლივერპულის“ პრობლემები თავდასხმაში მილან ბაროსის დაშვების შემდეგ ერთიორად გართულდა და კლუბიც სასწრაფოდ ახალ ფორვარდს ეძებს. ფურადღების ცენტრში კვლავ ფერნანდო მორინტესია, რომელიც, თუ ბრიტანულ პრესაში გავრცელებულ ჭორებს ვენდობით, უკვე ინგლისში ჩაფრენილა მერსისაიდლებთან მოსალაპარაკებლად და სადაცაა, კონტრაქტსაც გააფორმებს.

რუსეთის ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველი ვადიმ ევსევი შესაძლოა, კიევის „დინამოში“ გადაბარდეს. ფეხბურთელს რკინიგზელებთან მოქმედი კონტრაქტი ეწურება, მაგრამ მის განხარგრძლივებას არ ჩქარობს, რადგანაც უკრაინაში გადასვლის პერსპექტივა ხიბლავს. სავარაუდოდ, ევსევი საბოლოო გადაწყვეტილებას „ლოკომოტივის“ პრეზიდენტ ვალერი ფილატოვთან შეხვედრის შემდეგ მიიღებს.

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა. XI ტურნი

ბრაზილია ჰაერში ააბდა

მკვადორი 1:0 ბრაზილია

1:0 მენდესი (77)

მკვადორი: ვილაფორტე, დე ლა კრუზი, ი. ურტადო, ჯ. ესპინოზა, ამბროსი, ე. ტენორიო, მ. აიოვი, ე. მენდესი, ურუტია (ფ. სალასი 46), კაგიედესი (ვ. აიოვი 75), ა. დელგადო (რეასკო 90)

ბრაზილია: დიდა, კაფუ, შუანი, როკო შუნიორი, რობერტო კარლოსი, რენატო, შუნიანი პერნამბუკანო (დუდუ 75), კლემენტინი (რიკარდონი 65), კაკა (ადრიანო 81), რონალდინიო, რონალდო

მსაჯი: ოსკარ რუისი (კოლუმბია)

43 000 მაყურებელი

ნაკრები, რომელმაც ბრაზილიელთა დაუმარცხებელ სვლას წერტილი დაუსვა, ეკვადორი გახდა და მოდით, ვთქვათ, რომ ამაში არის ლოგიკა.

ბრაზილიელი ფეხბურთელები თამაშამდე 48 საათით ადრე გაემგზავრნენ ევროპიდან, აქედან დაახლოებით 12 საათი თვითმფრინავში ისხდნენ, ერთგან ჩავიდნენ, მსუბუქად ივარჯიშეს, თამაშამდე ოთხი საათით ადრე კიტოში ჩავიდნენ და გაიშვიათებული ჰაერი ფილტვებში წესიერად ვერ ჩაუშვეს და სამი წლის წინანდელი გაიმეორეს. მაშინაც, სამი წლის წინ, მიუხედავად ყველაფრისა, ბრაზილია უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ეკვადორმა 1:0 მოიგო.

ბრაზილიას მართლა ძალიან ბევრი მომენტი ჰქონდა, ყველაზე მეტი კი რონალდოს და კაკას, მაგრამ კარში ზუსტი დარტყმა არ გამოსდიოდა.

მთლად უმომენტოდ არც მასპინძლები იყვნენ. აგუსტინ დელგადოს საუკეთესო შანსი ებოძა პირველ ტაიმში, მაგრამ დიდამ იყოჩაღა. შესვენების მერე სალასისგან შეწუხებულმა რენატომ ლამის საკუთარ კარშიც გაიტანა.

გოლი კი, როგორც ვთქვით, ერთი გავიდა. დელგადოს დაგორებულს ედისონ მენდესმა დაჰკრა და მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგდო.

აი, სიხარული იმას ჰქვია, „ატა-

ულპაზე“ რომ ტრიალებდა და მერე მთელ ეკვადორს მოედო.

იმედროულად, სანამ მასპინძლები ზეიმობდნენ, რონალდო შურნალისტებთან ჩიოდა: „თავი საშინლად მტკიოდა. ჰაერი არ მყოფნიდა. არ მესმის, ასეთ პირობებში როგორ შეიძლება თამაში.“

ამის საპირისპიროდ, ეკვადორელთა მწვრთნელს ლუის ფერნანდო სუარესს გაიშვიათებული ჰაერი საერთოდ არ უხსენებია: „ნებისმიერი თვალსაზრისით ბრაზილიის დამარცხება დიდი ამბავია. გნებავთ, სატურნირო თვალსაზრისით და გნებავთ, მორალური.“

ბრენტინა 3:2 ვენესუელა

1:0 რეი (4ს.კ.), 1:1 მორანი (33), 2:1 რიკელმე (45), 3:1 სავიოლა (66), 3:2 ვიელმა (72)

ბრენტინა: აბონდანსიერი, ძანეტი, გ. როდრიგესი, გ. მილიტო, სორინი, მასკერანო, კამბიასო (პლასენტი 78), რიკელმე, სოლარი (ლ. გონსალესი 65), ფიგეროა, ს. დელგადო (სავიოლა 56)

ვენესუელა: დუდაიელი, ვალენილია, რეი, ჩიკერო, ხონაი ერნანდესი (ურდანეტა 52), ვერა, პაესი (ვიელმა 70), ლ. ხიმენესი (ვ. კასერესი 72), ხ. როხასი, არანგო, რ. მორანი

მსაჯი: ფილბერტო იდალგო (პერუ)

35 000 მაყურებელი

„არ ველოდი, ვენესუელა ასე კარგად თუ ითამაშებდა, მათ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს — თქვა ნამატჩივს ხოსე პეკერმანმა — მეტოქემ უამრავი პრობლემა შეგვიქმნა, მაგრამ ჩვენი ძალა სწორედ იმაშია, რომ პრობლემების გამკლავება შეგვიძლია. ჩემი გუნდის თამაშში მხოლოდ სუსტი კოორდინაციით ვარ უკმაყოფილო. თუმცა ეს ლოგიკურიცაა, რადგან ფეხბურთელები კლუბებიდან ძალიან გვიან ჩამოვიდნენ და შეთამაშების დრო პრაქტიკულად არ გვქონია.“

სიმართლე ვთქვათ, უკმაყოფილო არც სტუმართა მწვრთნელი რიკარდო პაესი დარჩენილა. ამასაც თავისი ახსნა აქვს — ამ გუნდთა ბოლო შეხვედრა არგენტინელებმა

5:0 მოიგეს და ახლა ასეთი ანგარიში ვენესუელელთათვის, ასე ვთქვათ, საპატიო მარცხია.

ჰაესმა კი თქვა: „მსოფლიოში ბარე ორი გუნდი ვერ ითამაშებდა არგენტინის წინააღმდეგ ისე კარგად, როგორც ეს ჩვენ შეგძლია.“

ამ გამარჯვებით და ბრაზილიელთა მარცხის გათვალისწინებით, არგენტინა ჯგუფში პირველ ადგილზე აბარგდა. თუმცა ისიცაა, რომ აქ პირველ-მეორეობას დიდი მნიშვნელობაც არ აქვს, ჯგუფიდან ზომ ოთხი გუნდი გადის მსოფლიოს ჩემპიონატზე, მეხუთე კი პლეი ოფში ხვდება. თუმცა მაინც — პირველ ადგილს თავისი მომხიბვლელობა ყოველთვის გააჩნია.

მცდარი იქნებოდა გვეთქვა, არგენტინამ თამაშ-თამაშ მოუგო კონტინენტის ყველა დროის უსუსტეს ნაკრებსო. ვალტერ სამუელის, გაბრიელ ჰაინცესა და რობერტო აიალას არყოფნაში ვენესუელელი ფორვარდების შეჩერება იოლი არ ყოფილა.

არგენტინა ადრიანად დაწინაურდა ხოსე მანუელ რეის ავტოგოლით, რომელმაც მასპინძელთა დარტყმულ საჯარიმოს უხეიროდ შეაგება თავი.

საპასუხო, რობერტ მორანისა კი, ინდივიდუალური გაბრწყინების ნიმუშად შეგვიძლია მოვიტანოთ. მორანი დიდებულად დაუსხლტა გაბრიელ მილიტოს, მერე რობერტო აბონდანსიერიც მოატყუა და ტურნირში მეხუთე გოლი გაიტანა.

მაგრამ ვენესუელელებს შესვენებაზე ხალისიანად გასულა არ დასცალდათ. ტაიმის ბოლო წუთზე რომან რიკელმემ საჯარიმოთი ისევ მასპინძლები დაწინაურა.

ვენესუელას მესამე ხაიერ სავიოლამ გაუტანა, ვინაც სესარ დელგადოს ნაცვლად შევიდა შეცვლაზე, საგოლედ კი ფეხი საჯარიმო მოედნის მისადგომიდან მოიქნია.

ვენესუელა აღარ იყო ამ თამაშის გადამჩენი და არც მეორე გოლის გამტანი, არგენტინელთა მეკარე რომ არ წახმარებოდა. ლეონელ ვიელმას დარტყმული აბონდანსიერის მკლავებში გაუშვრა და ისე გავიდა.


ამგვარად, არგენტინამ ვენესუელას მიჯრით მეთოთხმეტე თამაში მოუგო.

პერუ 2:1 ჩილი

1:0 ფარფანი (55), 2:0 პ. გერერო (86), 2:1 ს. გონსალესი (90)

ბალო გერერომ თავისი პირველი სანაკრებო გოლი გაიტანა, რითაც პერუს თუნდაც მეხუთეობის კარგი შანსი შეუნარჩუნა, სამტურრო მეტოქე ჩილეს კი უკვე წამოაჯდა თავზე.

თუმცა იქამდე ბევრი რამ მოხდა: ორივე გუნდის ფეხბურთელებმა ხარიხები შეაზანზარეს, ორივე გუნდი კაცნაკლული დარჩა, ორივე მეკარემ საუცხოო ბურთები მოიგერია, ჯეფერსონ ფარფანმა გოლი



რონალდო: ჰაერში

გაიტანა, რობერტო პალასიოსმაც გაიტანა, მაგრამ არ ჩაუთვალეს.

ახლა უფრო წერილად მოვეყვით. პალასიოსს გოლი მეთხე წუთზე გაუშქმეს ოფსაიდის გამო, ნახევარ საათში კი პიზარომ, ვინაც ივლისის მერე პირველად გავიდა მოედანზე, ძელს გაარტყა. თითქმის მაშინვე მაურისიო პინილიას დარტყმულიც ძელმა აისხლიტა. გაძევებულეებმა, როდრიგო მელენდესმა და სანტიაგო აკასეტემ ეს სასჯელი ერთმანეთში ჩხუბისთვის მიიღეს.

პირველი გოლი კუთხურს მოჰყვა, მეორე კი, რიკოშეტით გავიდა მწ-ე წუთზე.

და რაც საინტერესოა, დრამა არც ამის მერე დასრულებულა, რაკი იმ დარჩენილ ოთხ წუთში ჩილე-

ლებს ცოტა დააკლდათ და კინაღამ გაათანაბრეს — აი, სერი ის იქნებოდა. სებასტიან გონსალესმა ბოლო წუთზე ერთი გაქვითა, ბოლო წამზე კი მანვე დიდებული მომენტი გაატანა ქარს.

კოტე კიპელია

ურუგვაი 1:0 პარაგვაი	1:0 პ. მონტერო (78)	კოლუმბია 1:0 ბოლივია	1:0 იგუესი (18)
არგენტინა	11 6 4 1 21:11 22	ბრაზილია	11 5 5 1 19:11 20
პარაგვაი	11 4 4 3 12:11 16	ეკვადორი	11 5 1 5 12:11 16
ურუგვაი	11 4 2 5 16:23 14	ურუგვაი	11 3 4 4 12:11 13
კოლუმბია	11 3 4 4 12:11 13	პერუ	11 3 4 4 13:13 13
პერუ	11 3 4 4 10:11 13	ჩილე	11 4 1 6 13:17 13
ვენესუელა	11 4 1 6 13:17 13	ბოლივია	11 3 1 7 11:20 10



კაკამ უგოლოდ შეუტია



ვენესუელას მესამე გოლი ხაიერ სავიოლამ გაუტანა

სარბიელი კროკო


არქიტექტურული
ინჟინერინგის
სამსახური

ნაკროგიდგანთ

სხვა სახის ფსონებს განსწავლით აღგილვა

								1	X	2	1-X	1-2	X-2									
ინგლისი, პრემიერლიგა														18:00	82	ინვერნესი-დანდი ო'ნიტიტელი	2.25	3.1	2.75	1.3	1.23	1.45
20 ნომბერი														18:00	83	ლინკინსტონი-ბერეინი	2.75	3.05	2.25	1.44	1.23	1.29
15:45	1	მანჩესტერი-ჩარლტონი	1.35	3.95	9.0	1.0	1.17	2.74	შოტლანდია, I დივიზიონი													
18:00	2	მიდლსბრო-ლივერპული	2.5	3.0	2.7	1.36	1.29	1.42	20 ნომბერი													
18:00	3	ნორუიჩი-საუთჰემპტონი	2.35	3.0	2.85	1.31	1.28	1.46	18:00	84	კლადი-პამილტონი	1.5	4.0	4.8	1.09	1.14	2.18					
18:00	4	არსენალი-ვესტ ბრომუიჩი	1.25	5.0	9.0	1.0	1.09	3.21	18:00	85	ფოლკინგი-სტ.ჯონსტონი	1.7	3.75	3.6	1.16	1.15	1.83					
18:00	5	ჩელსი-ბოლტონი	1.35	4.2	8.0	1.02	1.15	2.75	18:00	86	ქუინი-პარტი	2.4	3.4	2.4	1.4	1.2	1.4					
18:00	6	კრისტალ პალასი-ნიუკასლი	2.85	3.1	2.35	1.48	1.28	1.33	18:00	87	როსი-ერადრი	2.15	3.6	2.6	1.34	1.17	1.5					
18:00	7	ვევერტონი-ფულემი	1.75	3.25	4.4	1.13	1.25	1.86	18:00	88	სტ.მიჩენი-რეიტი	1.35	4.5	6.0	1.03	1.1	2.57					
20:15	8	პორსმუთი-სიასი	2.15	3.1	3.1	1.26	1.26	1.54	შოტლანდია, მეორე დივიზიონი													
21 ნომბერი														18:00	812	სტირლინგი-ბერეი	1.5	3.55	5.5	1.05	1.17	2.15
19:05	9	ბლექბერნი-ბირმინგემი	2.25	3.0	3.1	1.28	1.3	1.52	20 ნომბერი													
22 ნომბერი														18:00	813	გრეტნა-ალბიონი	1.12	6.0	15.0	1.0	1.04	4.28
23:00	10	ასტონ ვილა-ტოტენემი	1.9	3.2	3.7	1.19	1.25	1.71	შოტლანდია, მესამე დივიზიონი													
ინგლისი, ჩემპიონატი														20 ნომბერი								
19 ნომბერი														გერმანია, პირველი ბუნდესლიგა								
22:45	30	კარდიფი-პრესტონი	2.0	3.2	3.3	1.23	1.24	1.62	20 ნომბერი													
15:30	31	ვულვერპტონი-ქოვენტრი	1.85	3.3	3.6	1.18	1.22	1.72	17:30	11	'სტუტგარტი-მიონხენგლადბახი	1.5	3.8	5.6	1.07	1.18	2.26					
18:00	32	უიგანი-ლესტერი	1.85	3.2	3.85	1.17	1.24	1.74	17:30	12	პერტა-პანსა	1.55	3.9	5.0	1.1	1.18	2.19					
18:00	33	ქროუ-ჯილინგემი	1.95	3.15	3.5	1.2	1.25	1.65	17:30	13	ვლევერკ-სენი-შალკე	2.15	3.3	2.95	1.3	1.24	1.55					
18:00	34	დერბი-შეფილდი	2.2	3.2	2.9	1.3	1.25	1.52	17:30	14	მაინცი-ბოსუმი	1.95	3.2	3.5	1.21	1.25	1.67					
18:00	35	ლიდსი-ქპრ	2.35	3.0	2.8	1.31	1.27	1.44	17:30	15	ბაიერნი-კაისერსლაუტერნი	1.3	4.65	8.2	1.01	1.12	2.96					
18:00	36	ბრაიტონი-ბარნლი	2.2	3.2	2.9	1.3	1.25	1.52	17:30	16	არმინია-ვერდერი	2.85	3.0	2.4	1.46	1.3	1.33					
18:00	37	ნოტინგემი-რედინგი	2.6	3.2	2.4	1.43	1.24	1.37	17:30	17	დორტმუნდი-ფრაიბურგი	1.5	3.8	5.6	1.07	1.18	2.26					
18:00	38	პლიმუთი-სტოკი	2.1	3.2	3.1	1.26	1.25	1.57	21 ნომბერი													
18:00	39	უოლფორდი-როტერჰემი	1.55	3.6	5.0	1.08	1.18	2.09	19:30	18	პამპერტი-ვოლფსბურგი	2.4	3.0	2.85	1.33	1.3	1.46					
21 ნომბერი														19:30	19	ნიურნბერგი-პანოვერი	2.3	3.2	2.8	1.33	1.26	1.49
15:00	40	მიდლსბრო-ვესტ ჰემი	2.35	3.2	2.65	1.35	1.24	1.44	გერმანია, მეორე ბუნდესლიგა													
16:00	41	სანდერლენდი-იფსვიჩი	2.25	3.2	2.8	1.32	1.24	1.49	19 ნომბერი													
ინგლისი, პირველი ლიგა														21:00	90	აინტრახტი-ერფურტი	1.55	3.75	5.0	1.09	1.18	2.14
20 ნომბერი														21:00	91	კილნი-აუე	1.45	3.6	6.0	1.03	1.16	2.25
15:30	42	დონსი-ლუტონი	3.7	3.3	1.85	1.74	1.23	1.18	21:00	92	ობერპოლცი-ფიურტი	2.9	3.25	2.1	1.53	1.21	1.27					
18:00	43	ბლექჰემი-ტრანმერი	2.65	3.3	2.3	1.46	1.23	1.35	21:00	93	ესენი-მიუნხენი	2.5	3.2	2.5	1.4	1.25	1.4					
18:00	44	ბორნემუთი-ჩესტერფილდი	1.75	3.4	4.0	1.15	1.21	1.83	21:00	94	'საარბროუკენი-ალენი	1.95	3.1	3.35	1.19	1.23	1.61					
18:00	45	ბრენტფორდი-ბრედფორდი	2.0	3.3	3.2	1.24	1.23	1.62	21 ნომბერი													
18:00	46	კოლჩესტერი-პადერსფილდი	2.25	3.3	2.7	1.33	1.22	1.48	17:00	95	კარლსრუე-ტრირი	2.2	3.2	2.9	1.3	1.25	1.52					
18:00	47	დონკასტერი-სტოკპორტი	1.65	3.3	4.7	1.1	1.22	1.93	17:00	96	დინამო-უნტერჰახინგი	2.25	3.0	2.8	1.28	1.24	1.44					
18:00	48	ოლდემი-ბარნსლი	2.2	3.3	2.75	1.32	1.22	1.5	17:00	97	ბურგჰაუსენი-დუისბურგი	2.5	3.2	2.45	1.4	1.23	1.38					
18:00	49	პორტ ველი-ტოტენემი	1.75	3.4	4.0	1.15	1.21	1.83	გერმანია, რეგიონალლიგა (ჩრდ.)													
18:00	50	უენსი-პარტლუკი	1.9	3.3	3.4	1.2	1.21	1.67	19 ნომბერი													
18:00	51	სკინდონი-პალი	2.35	3.3	2.6	1.37	1.23	1.45	21:30	99	ვოლფსბურგი(მ)-უნიონი	2.25	3.0	2.8	1.28	1.24	1.44					
18:00	52	უოლსლი-პიტერბრო	1.9	3.3	3.4	1.2	1.21	1.67	21:30	100	ვუტერბალი-ოსნაბრიუკი	2.4	3.2	2.5	1.37	1.22	1.4					
18:00	53	რეკსემი-ბრისტოლი	2.5	3.3	2.4	1.42	1.22	1.38	20 ნომბერი													
ინგლისი, მეორე ლიგა														16:00	101	კლი-კილნი(მ)	1.9	3.25	3.4	1.19	1.21	1.66
19 ნომბერი														16:00	102	მიუნსტერი-არმინია(მ)	1.75	3.3	4.0	1.14	1.21	1.8
22:45	55	ნორთემპტონი-ჩესტერი	1.9	3.3	3.5	1.2	1.23	1.69	16:00	103	ურდინგენი-სტ.პაული	1.85	3.3	3.5	1.18	1.21	1.69					
20 ნომბერი														16:00	104	ბრაუნშვაიგი-პალერბორნი	1.85	3.3	3.5	1.18	1.21	1.69
18:00	56	ოქსფორდი-როჩდელი	2.05	3.3	3.1	1.26	1.23	1.59	16:00	105	ქემნიცი-დოუსელდორფი	1.9	3.3	3.3	1.2	1.2	1.64					
18:00	57	'შიოქსტერი-სკონსი	2.8	3.3	2.2	1.51	1.23	1.32	21 ნომბერი													
18:00	58	იოვილი-საუთენდი	1.9	3.3	3.5	1.2	1.23	1.69	16:00	106	პერტა(მ)-პამპერტი(მ)	2.4	3.2	2.5	1.37	1.22	1.4					
18:00	59	დარლინგტონი-ლინკოლნი	2.05	3.3	3.1	1.26	1.23	1.59	16:00	107	ვერდერი(მ)-დორტმუნდი(მ)	1.95	3.3	3.15	1.22	1.2	1.61					
18:00	60	ბოსტონი-მენსფილდი	1.85	3.4	3.6	1.19	1.22	1.74	გერმანია, რეგიონალლიგა (სამ.)													
18:00	61	როვერსი-სუანსორპი	2.2	3.3	2.8	1.32	1.23	1.51	19 ნომბერი													
18:00	62	ბერი-ნოტსი	2.05	3.3	3.1	1.26	1.23	1.59	21:00	108	მიუნხენი(მ)-ოფენბახი	3.5	3.35	1.85	1.71	1.21	1.19					
18:00	63	კემბრიჯი-რანსდენი	2.45	3.3	2.45	1.4	1.22	1.4	21:00	109	აალენი-რეგენსბურგი	2.1	3.3	2.85	1.28	1.2	1.52					
18:00	64	გრიმსბი-კიდერმინსტერი	1.7	3.5	4.1	1.14	1.2	1.88	20 ნომბერი													
18:00	65	ლუიტონი-კუილმბი	1.7	3.5	4.1	1.14	1.2	1.88	16:30	110	აუგსბურგი-ნოტინგემი	1.45	3.75	5.8	1.04	1.15	2.27					
18:00	66	მაუსფილდი-ჩელსენემი	1.8	3.4	3.75	1.17	1.21	1.78	16:30	111	დარმშტადტი-ბაიერნი(მ)	2.15	3.3	2.8	1.3	1.21	1.51					
შოტლანდია, პრემიერლიგა														16:30	112	ფულერდორფი-ვალდჰაიმბურგი	2.15	3.1	2.85	1.26	1.22	1.48
